

# საქართველოს მთავრობის

## დადგენილება №161

2017 წლის 29 მარტი

ქ. თბილისი

**„საქართველოს სახელმწიფო საზღვრის მართვის სტრატეგიის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 13 მარტის №226 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

### მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საქართველოს სახელმწიფო საზღვრის მართვის სტრატეგიის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 13 მარტის №226 დადგენილებაში ([www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge), 14/03/2014, 010040000.10.003.017846) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს სახელმწიფო საზღვრის მართვის სტრატეგიის“:

#### 1. 4.2.2 პუნქტის მე-2 აბზაცი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტო, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, ახორციელებს სასაზღვრო უსაფრთხოების საინფორმაციო ტექნოლოგიურ უზრუნველყოფას, ამ მიმართულებით კოორდინირებას უწევს საინფორმაციო სისტემების, საკომუნიკაციო ქსელების, ელექტრონულ მონაცემთა ბაზების ადმინისტრირებასა და მათ განვითარებასთან დაკავშირებული ორგანიზაციული საქმიანობის მართვას.“

#### 2. 5.8.2 პუნქტის მე-7 აბზაცი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს მიერ შემუშავებულია და განვითარების პროცესშია სასაზღვრო ოპერაციების საინფორმაციო ტექნოლოგიური უზრუნველყოფის პროექტი – „სასაზღვრო ოპერაციების მართვის სისტემა – BOMS“.“

### მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2017 წლის 30 მარტიდან.

პრემიერ-მინისტრი

გიორგი კვიციანი

